პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 293 (12805) | ოთხშაბათი, 18 დეკემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საზეიმო მიტინგის მონაწილეებმა — რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის, სამონტაჟო და სპეციალიზებული ორგანიზაციების, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის, საპროექტო ინსტიტუტების მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები, პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები ქალაქ რუსთავის მშრომელთა აქტივთან ერთად დიდ მადლობას უძღვნიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, იმისათვის, რომ მაღალი შეფასება მიეცით რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშენებელთა, მემონტაჟეთა და ქიმიკოსთა შრომითის გამარჯვებას — კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსის, აგრეთვე მინერალური სასუქების წარმოების დამატებით სიმძლავრეთა ამუშავებას.

რესპუბლიკის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის გრანდიოზულ პროგრამას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დასახა. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ქიმიური ინდუსტრიის ახალ წარმოებათა ამუშავება რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც უახლოეს წლებში უნდა შეგასრულოთ. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მუშაკებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ უმოკლეს ვადებში აითვისონ ახალი წარმოებათა საპროექტო სიმძლავრეები. მშენებლებმა და მემონტაჟეებმა გააძლიერეს სამუშაოთა ტემპი ახალი ობიექტების ვადამდე ამუშავებისათვის.

საზეიმო მიტინგის მონაწილეები აღუთქვამენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, იმისათვის, რომ მაღალი შეფასება მიეცით რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშენებელთა, მემონტაჟეთა და ქიმიკოსთა შრომითის გამარჯვებას — კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსის, აგრეთვე მინერალური სასუქების წარმოების დამატებით სიმძლავრეთა ამუშავებას.

საზეიმო მიტინგის მონაწილეები აღუთქვამენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ ისინი არ დაიშურებენ ძალღონესა და ენერგიას, რათა შეასრულონ ქიმიური ინდუსტრიის სიმძლავრეთა შემდგომი დაჩქარებული ზრდის ახალი ამოცანები, თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საქონლის სიუხვის შექმნის საერთო სახალხო საქმეში, კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

მილებულია მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგებს და კაპროლაქტამისა და მინერალური სასუქების წარმოების საამქროთა კომპლექსის ამუშავებას რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში.

17 დეკემბერი.

გამომცემლობა „დეტსკაია ლიტერატურის“ მუშაკთა კოლექტივს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად გილოცავთ გამომცემლობა „დეტსკაია ლიტერატურის“ 30 წლისთავს, გამომცემლობისა, რომელიც მაქსიმ გორკის უახლოესი მონაწილეობით დაარსდა.

კომუნიზმის სულისკვეთებით ნორჩი თაობის აღზრდა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ამ კეთილშობილურ და საპატიო მუშაობაში დიდი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა საბავშვო ლიტერატურამ, რომლის გამოცემას თქვენი კოლექტივი თავის ძალას, ნიჭსა და ცოდნას ახმარს.

ოცდაათი წლის მანძილზე გამომცემლობამ გამოუშვა 12 ათასზე მეტი წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი მილიარდნახევარ ცალზე მეტია.

მწერალთა, მხატვართა, გამომცემელთა და პოლიგრაფისტთა შრომით ჩვენს ქვეყანაში ბავშვებისათვის შეიქმნა საუცხოო და წარმტაცი ლიტერატურა, რომელიც ავითარებს ნორჩ მკითხველთა სულიერ სამყაროს, ზრდის მგზნებარე პატრიოტებს, ნამდვილ ინტერნაციონალისტ-ლენინელებს.

საბავშვო ლიტერატურის საპატიო ამოცანაა ბავშვებსა და ახალგაზრდებს ჩაუნერგოს ცოდნის სიყვარული, საგმირო საქმეებისადმი მისწრაფება, შრომისმოყვარეობა, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის მაღალი მორალური თვისებები.

მხურვალედ გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენს დიდ და საპატიო საქმეში.

ნ. ხრუშჩოვი.

1963 წლის 16 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

მოსკოვი, 16 დეკემბერი. სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნა. სურათზე: პრეზიდიუმი. მოხსენებას კითხულობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დეპუტატი პ. თ. ლომაკო.

ფოტო ნ. სიტნიკოვისა და ა. სტუკენისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

გუშინ კრემლში

17 დეკემბერს კრემლში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა კავშირის საბჭოს მესამე სხდომა. თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი მ. ა. აბდურაზაკოვი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის 1964-1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის და სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: ა. კ. ანტონოვი (ვოლხოვის საარჩევნო ოლქი, ლენინგრადის ოლქი), ი. ბ. კებინი (ტალინის საქალაქო საარჩევნო ოლქი, ესტონეთის სსრ), ნ. ნ. კაჩალოვი (ანგარის საარჩევნო ოლქი, ირკუტსკის ოლქი), რ. ყურბანოვი (ნამანგანის სასოფლო საარჩევნო ოლქი, უზბეკეთის სსრ), ზ. ი. ხალილოვი (ევლახის საარჩევნო ოლქი, აზერბაიჯანის სსრ), გ. ი. ჩოგოვაძე (ფოთის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ), ა. ე. კოჩინიანი (სევანის საარჩევნო ოლქი, სომხეთის სსრ), ა. ა. პოშკაიტიტე (პანევეჟისის საარჩევნო ოლქი, ლიტვის სსრ), კ. ბ. კარაკეევი (ყარა-ბალტის საარჩევნო ოლქი, ყირგიზეთის სსრ), ს. ი. ბაბინი (ტირასპოლის საარჩევნო ოლქი, მოლდავეთის სსრ), ა. კახაროვი (გარმის საარჩევნო ოლქი, ტაჯიკეთის სსრ).

კრემლის თეატრის შენობაში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ა. ე. კორნეიჩუკის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნებათა საბჭოს მესამე სხდომა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის 1964-1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის და სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: ნ. ვ. მარტინოვი (ტერმეზის საარჩევნო ოლქი, უზბეკეთის სსრ), ხ. ბეგბაბოვა (მოსკოვსაის საარჩევნო ოლქი, ყირგიზეთის სსრ), ა. ფ. ვაბჩენკო (ზმელნიცკის საარჩევნო ოლქი, უკრაინის სსრ), ი. შარიპოვი (ჯამბულის საარჩევნო ოლქი, ყაზახეთის სსრ), ვ. ე. ლობანოკი (გლუბოკოეს საარჩევნო ოლქი, ბელორუსიის სსრ), ვ. პ. რუბენი (პესისის საარჩევნო ოლქი, ლატვიის სსრ), ე. ა. იასკა (ცოხტლა-იარვეს სასოფლო საარჩევნო ოლქი, ესტონეთის სსრ), ო. დ. ონიაშვილი (ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), კ. კ. კაბირისი (კაპსუკასის საარჩევნო ოლქი, ლიტვის სსრ), ნ. ა. შჩელოკოვი (რეზნის საარჩევნო ოლქი, მოლდავეთის სსრ), ბ. ბ. გუსეინოვი (ბაქოს შაუმიანის საარჩევნო ოლქი, აზერბაიჯანის სსრ).

დღის 4 საათზე კრემლის დიდ სასახლეში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ი. ა. კაირომის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნებათა საბჭოს მეოთხე სხდომა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის 1964-1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: ს. ა. მოგსესიანი (რაზდანის საარჩევნო ოლქი, სომხეთის სსრ), ბ. ბ. ბეშჩევი (უხტის საარჩევნო ოლქი, კომის ასსრ), მ. ბაპუროვი (კაახკის საარჩევნო ოლქი, თურქმენეთის სსრ), ვ. ა. კირილინი (ნამანგანის საარჩევნო ოლქი, უზბეკეთის სსრ), ხ. პულატოვი (დუშანბეს საარჩევნო ოლქი, ტაჯიკეთის სსრ), სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. პ. ს. ნეპოროჟნი.

კრემლის თეატრის შენობაში დღის 4 საათზე კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ მ. ა. აბდურაზაკოვის თავმჯდომარეობით გაიმართა კავშირის საბჭოს მეოთხე სხდომა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის 1964-1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ: საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ამხ. ნ. ნ. რომანოვი, დეპუტატები ზ. შ. აანაზაროვი (უფის სასოფლო საარჩევნო ოლქი, ბაშკირეთის ასსრ), ლ. ნ. ვოროშეინი (ძერჟინსკის საარჩევნო ოლქი, გორკის ოლქი), ვ. ბ. ტერეხინი (პერეოსლავლის საარჩევნო ოლქი, სვერდლოვის ოლქი), ფ. დ. კულაკოვი (იზობილნოეს საარჩევნო ოლქი, სტავროპოლის მხარე), ა. მ. ვორონეცკი (გროდნოს საარჩევნო ოლქი, გროდნოს ოლქი).

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში

17 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს.

მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ფ. პრომისლოვმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა, სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრმა მ. ვ. პოსოხინმა ნ. ს. ხრუშჩოვს გააცნეს დედაქალაქის შემდგომი რეკონსტრუქციის ზოგიერთი პროექტი. კერძოდ, ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნო მოსკოვის ქუჩებში ახალი მიწისქვეშა გადასასვლელების მშენებლობის პროექტებს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა მოსკოვის საბჭოს ეზოში მოწყობილი საზაფხულო სახლების გამოფენა, რომლებიც მიტიშჩის საშენ მასალათა კომბინატმა დაამზადა. მათი აგებისათვის გამოყენებულ იქნება სინთეზური მასალები — მინაპლასტიკები, სტირობორი, მერქან-ბურბუშელას ფილები. ეს სახლები აშენდება გარეუბნებში მშრომელთა დასასვენებლად. სახლები გათვალისწინებულია 2-5 კაციანი ოჯახისათვის. ქიმიური მრეწველობის განვითარება შესაძლებელს გახდის სულ უფრო მეტი რაოდენობით აშენდეს ასეთი სახლები.

ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნო აგრეთვე ქუჩების დასასუფთავებელ და სხვადასხვა საშენი მასალის გადასაზიდავ ახალ მანქანებს. მან ურჩია მოსკოვის საბჭოს ხელმძღვანელებს უფრო ფართოდ გამოიყენონ ტექნიკა, უფრო გაბედულად დანერგონ ახალ სრულყოფილ კონსტრუქციათა მანქანები. მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სკკპ საქალაქო კომიტეტის მუშაკებთან საუბარში ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა მთელი რიგი შენიშვნები და სურვილები დედაქალაქის შემდგომი რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის საკითხების გამო.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგემ ვ. ჰ. ამიზოვმა, „მთავარმოსკოვკუტრანსის“ უფროსმა ი. მ. გობერმანმა, კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსმა დ. ი. პანოვმა და მოსკოვის საბჭოს აღმასკომისა და სკკპ საქალაქო კომიტეტის სხვა მუშაკებმა.

(საკდესი).

ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ 16 დეკემბერს დარბაზობა გამართეს ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. დელეგაციას მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი.

დარბაზობაზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები.

დარბაზობის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა და ირჟი გენდრიხმა სიტყვები წარმოთქვეს. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა

17 დეკემბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი.

დელეგაცია მონაწილეობას იღებდა ზეიმში, რომელიც გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ შესრულდა 20 წელი, რაც დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ვ. პოდგორნიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. პ. კირილენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. თ. ილიჩოვმა და სხვებმა.

(საკდესი).

საქართველოს დიდი ქიმიის მშენებელთა შრომითი გამარჯვება

საზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგებს, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსისა და ახალ სიმძლავრეთა ამუშავებას.

არის ცხოვრებაში დაუვიწყარი წუთები. და მართლაც მშენებლებს, მემონტაჟეებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, რუსთავის ყველა მშრომელს არასოდეს დაავიწყდებათ ის წუთები, როცა აზოტოვანი სასუქების ქარხნაში მიიღეს პირველი ქართული კაპროლაქტამი! მათი მრავალი წლის შრომა, ძიება, შემარეგა წარმატებით დაგვირგვინდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გახსნის წინ მათ უპატაკეს: **ისმინე, სამშობლოვ, მეტად დიდმნიშვნელოვანი მშენებლობა მწყობრში ჩადგა. მოდის კაპროლაქტამი, რომელსაც რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მარკა აქვს!**

აზოტოვანი სასუქების ქარხნის, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამშენებელო და სამონტაჟო ორგანიზაციების, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის, საპროექტო ინსტიტუტების კოლექტივები და რუსთავის ყველა მშრომელი უდიდესი სიხარულით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას, რომლებმაც მშენებლებს, მემონტაჟეებსა და ექსპლოატაციის მუშაკებს მიულოცეს შესანიშნავი შრომითი გამარჯვება — კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსის, აგრეთვე მინერალური სასუქების წარმოების დამატებით სიმძლავრეთა მწყობრში ჩადგომა.

და აი 17 დეკემბერს, ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქში, ჩვენი რესპუბლიკის დიდი ქიმიის ცენტრში გაიმართა საზეიმო მიტინგი. ასობით მშრომელი შეიკრიბა აზოტოვანი სასუქების ქარხნის ერთ-ერთ დიდ საამქროში.

ტრიბუნაზე არიან ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, შ. ი. ჭანუყვაძე, ო. ე. ჩერქეზია**, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. ა. დოლიძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. მ. ლაბახუა**, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე **ე. მ. ჯაფარიძე**, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე **ნ. გ. გომელაური**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე **შ. მ. ბეზარაშვილი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგე **გ. ს. ვაშაკიძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. შ. მიქელაძე**, მინისტრები, საწარმოთა ხელმძღვანელები, მეცნიერი-ქიმიკოსები, მოწინავე მუშები.

საზეიმო მიტინგი გახსნა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **თ. ნ. მენთეშაშვილმა.**

მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომელზეც განიხილეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ძირეული საკითხები: ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარება და მისი წამყვანი როლი სოფლის მეურნეობის აღმავლობასა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ილაპარაკა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მუშაობის შესახებ, რომელმაც განიხილა სახალხო მეურნეობის გეგმა და 1964-1965 წლების ბიუჯეტი.

საბჭოთა ხალხმა ქიმიური მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის განვითარების პროგრამა, რომელიც დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, აღიქვა როგორც თავისი ღვიძლი საქმე. ამ პროგრამას უკვე ასრულებენ ბევრი საწარმოს, მშენებლობის, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კოლექტივები.

სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად ქიმიის ფრონტზე საერთო სახალხო ბრძოლაში თავისი წვლილი შეაქვს საქართველოსაც.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს რუსთავის მშენებელთა, მემონტაჟეთა და ქიმიკოსთა შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში აღნიშნულია, რომ რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში ქიმიური ინდუსტრიის ახალ წარმოებათა ამუშავება არსებითი წვლილია ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიუხვის შექმნის საქმეში.

ტრიბუნაზეა მეტალურგმშენის ტრესტის მმართველი **ზ. ჯაფარიძე.**

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სპეციალიზებულ და საპროექტო ორგანიზაციათა მშენებლებისა და მემონტაჟეების მრავალრიცხოვანი კოლექტივის სახელით, რუსთავის ყველა მშრომელის სახელით ამხ. ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი წერილისათვის, იმ ზრუნვისათვის, რომლითაც გარემოსილი იყვნენ მშენებლები, მემონტაჟეები და ქიმიკოსები, იმ დახმარებისათვის, რამაც ხელი შეუწყო კაპროლაქტამის წარმოების ამუშავებას. ორატორი ამბობს, რომ რუსთავის კაპროლაქტამის წარმოების სიმძლავრეთა მწყობრში ჩადგომით ამ ძვირფასი ნედლეულის სიმძლავრენი ჩვენს ქვეყანაში მიმენელოდნენ ჩადგომა.

ამ გამარჯვების მისაღწევად მშენებლებმა ააშენეს ასზე მეტი შენობა და ნაგებობა, დაამონტაჟეს 8 ათას ტონაზე მეტი ტექნოლოგიური მოწყობილობა და ლითონკონსტრუქცია, გაიყვანეს ასობით კილომეტრი მილსადენი, ათასობით კილომეტრი კაბელი და სადენი, დაამონტაჟეს დაახლოებით ათასი ელექტროძრავა. ტექნოლოგიური პროცესების მაღალი ავტომატიზაცია უზრუნველყოფილია თითქმის 18 ათასი საკონტროლო და ავტომატიკის ხელსაწყოთი.

საქართველოს დიდი ქიმიის ფლაგმანის მშენებლობაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ასობით ქარხანა და ფაბრიკა. ჩვენი პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ კაპროლაქტამის წარმოების მშენებლები, მემონტაჟეები და ქიმიკოსები, იმ დახმარებისათვის, რამაც ხელი შეუწყო კაპროლაქტამის წარმოებას 25 ეროვნების წარმომადგენლები.

ამხ. ჯაფარიძემ პირობა მისცა პარტიასა და მთავრობას, რომ მშენებელთა კოლექტივი პირნათლად შეასრულებს ყველა ამოცანას, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებებით.

სიტყვას ამბობს ქიმმრეწვმშენის სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი **ე. ტყეშელაშვილი**, რომელიც რუსთავის დიდი ქიმიის ობიექტების მშენებლობაზე კომკავშირული საგზურით ჩამოვიდა.

— ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ამბობს ე. ტყეშელაშვილი, — მაღალი შეფასება მისცა კომკავშირს, ჩვენს საბჭოთა ახალგაზრდობას, რომელიც პარტიის მოწოდებით მუდამ მზად არის ყოველი საგმირო საქმე შეასრულოს კომუნიზმის გამარჯვებისათვის. არავითარი სპეციალობა არ მქონდა, მაგრამ კომუნისტური შრომის სახელგანთქმული ბრიგადამ, რომელსაც გ. დემეტრაშვილი ხელმძღვანელობს, ჩემი შეფობა იკისრა. ახლა შემიძლია ვამეცადინო ღურგლად, ხეროდ, მებეტონედ. ყველა დავალებას 170-180 პროცენტით ვასრულებ.

ამხ. ტყეშელაშვილმა თავისი ბრიგადის სახელით სიტყვა მისცა პარტიას, მთავრობას, პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ მისი ბრიგადა, ისევე როგორც ყველა მშენებელი, ძალღონეს არ დაიშურებს, რათა წარმატებით დაამთავროს დიდი ქიმის ობიექტების მშენებლობა რუსთავში.

— ჩვენ შეგვიძლია დღეს სიხარულით განვაცხადოთ, რომ დიდი შრომითი გამარჯვება მოვიპოვეთ, — თქვა მეტალურგპროკტმონტაჟის სამმართველოს უფროსმა **ვ. იმნაძემ.** ადვილი როდი იყო კაპროლაქტამის წარმოების აშენება. იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, საკმარისია მოვიყვანოთ ასეთი მაგალითები. კაპროლაქტამის წარმოების კორპუსებში მოკლე ვადაში დამონტაჟდა სხვადასხვა მოწყობილობის ათეულ ათასობით ერთეული. მარტო ესტაკადებზე ჩაწყობილია ასობით კილომეტრი მილები. ჩვენს ინჟინრებს, მემონტაჟეებს ცოტა სიძნელის გადალახვა როდი მოუხდათ, მუშაობის მსვლელობის დროს საქმე ჰქონდათ სავსებით ახალ მასალებთან, რთულ პირობებში აწარმოებდნენ მძიმე წონის კოლონების, მანქანებისა და აპარატების აწევასა და დაყენებას.

სიტყვას ამბობს სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის პროექტის მთავარი ინჟინერი **გ. ნემჩიკი.** მან გულთბილად მიულოცა დიდი წარმატება მშენებლების, მემონტაჟეების, ქიმიკოსების კოლექტივებს. ახლა მთავარია, ხაზს უსვამს გ. ნემჩიკი, უფრო სწრაფად ავითვისოთ სიმძლავრენი, უზრუნველყოთ კაპროლაქტამისა და მინერალური სასუქის წარმოების დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. წინ კი

(დასასრული მე-3 გვერდზე).

საზეიმო მიტინგი რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის საამქროში. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

სსრ კავშირის 1964-1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, თქვა ამხ. ვ. თ. გარბუზოვმა, განსახილველად და დასამტკიცებლად გიდგენთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1964-1965 წლების შვიდწლიანი გეგმის დამამთავრებელი წლების სახელმწიფო ბიუჯეტს. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გმირული შრომით ახორციელებს კომუნიზმის აშენების დიდებულ პროგრამას, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ გამოაცხადა, წარმატებით ქმნის კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, რომელმაც ეს-ეს არის დაამთავრა მუშაობა, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი ძალების ახალი აღმავლობა გამოიწვია. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო და უაღრესად შინაარსიან მოხსენებაში, პლენუმის დადგენილებაში შეჯამებულია შედეგები სახელოვანი გზისა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განვლო, განსაზღვრულია ისე, რომ არ არის გათვალისწინებული შემნახველ სალაროებში ანაბრების ზრდა, რომელიც ასახულია არა ბიუჯეტში, არამედ უშუალოდ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საკრედიტო რესურსებში. ანაბრების ზრდა მოსალოდნელია 1964 წელს — 1,4 მილიარდი მანეთით და 1965 წელს — 1,5 მილიარდი მანეთით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი 1964 წელს იზრდება 1963 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით (შესადარ პირობებში) 4,8 მილიარდი მანეთით, ანუ 5,6 პროცენტით, და 1965 წელს — 9,1 მილიარდი მანეთით, ანუ 10,0 პროცენტით 1964 წელთან შედარებით.

ბიუჯეტის ასიგნობები სახალხო მეურნეობისთვის გათვალისწინებულია 1964 წელს 38,7 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 4,0 პროცენტით მეტი, ვიდრე 1963 წელს. საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი რესურსების. გათვალისწინებით სახალხო მეურნეობისათვის გათვალისწინებული ხარჯების საერთო თანხა 1964 წელს შეადგენს 68,5 მილიარდ მანეთს და 1965 წელს — 74,4 მილიარდ მანეთს.

მომავალი ორი წლის მანძილზე გადიდდება აგრეთვე კრედიტების დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში. 1965 წლის დამლევისათვის ეს დაბანდებანი 6 მილიარდი მანეთით გაიზრდება და 58 მილიარდ მანეთს მიაღწევს. კრედიტები იზრდება ბიუჯეტის რესურსებისა და საწარმოთა, ორგანიზაციათა და მოსახლეობის მოზიდული სახსრების ხარჯზე.

ჩვენი სახელმწიფო, რომელიც განუწყვეტლივ ზრუნავს ხალხის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის, თქვა ამხ. გარბუზოვმა, დიდ სახსრებს გამოჰყოფს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. ასიგნობანი ამ მიზნით 1952 წლიდან 1963 წლამდე 2,5 ჯერ გაიზარდა, ხოლო მათი ხვედრითი წონა ბიუჯეტში მიმდინარე წელს შეადგენს 36 პროცენტს ნაცვლად 1952 წლის 26,7 პროცენტისა. 1964-1965 წლებში ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე კიდევ 3,4 მილიარდი მანეთით გადიდდება.

სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სარეზერვო ფონდები 2,3 მილიარდი მანეთის ოდენობით და 1965 წელს —3,3 მილიარდი მანეთის ოდენობით. ეს ფონდები განკუთვნილია სახელმწიფოს დამატებითი ხარჯებისათვის სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად და სხვა საჭიროებათათვის, რომელიც გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების დროს წარმოიშობა.

იმ ღონისძიებათა შესაბამისად, რომელსაც სახალხო-სამეურნეო გეგმა სანავს ამისათვის, რომ ამაღლდეს ხელფასის დონე, უწინარეს ყოვლისა უახლოეს ხაში მასწავლებელთა და ექიმთა ხელფასის დონე, აგრეთვე გადიდდეს ინვალიდობის პენსიათა მინიმალური ოდენობა, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია საჭირო სახსრები ამ მიზნებისათვის.

ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნებანი უცხო სახელმწიფოებისათვის ეკონომიური დახმარების გასაწევად მთავრობებს შორის შეთანხმებათა შესაბამისად.

ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდესი პროგრამის განხორციელება, რომელიც 1964-1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმითა და ბიუჯეტით არის გათვალისწინებული, მოითხოვს ფინანსური რესურსების განუწყვეტელ ზრდას, აღნიშნავს მომხსენებელი. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 1964 წელს 1963 წელთან შედარებით შემნახველი სალაროების ანაბრების მატების გაუთვალისწინებლად, 4,6 მილიარდი მანეთით ანუ 5,2 პროცენტით გადიდდება, 1965 წელს (1964 წელთან შედარებით) —9,4 მილიარდი მანეთით, ანუ 10,2 პროცენტით.

ბიუჯეტის შემოსავლის გადამწყვეტი წყაროა სოციალისტური მეურნეობის დაგროვება. 1964 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან შემოსული თანხები შეადგენს ბიუჯეტის მთელი მოცულობის 84,6 მილიარდ მანეთს, ანუ 92,2 პროცენტს, 1965 წელს — 93,6 მილიარდ მანეთს, ანუ 92,5 პროცენტს. ცალკეულ სახეობათა მიხედვით ეს შემოსული თანხები გათვალისწინებულია შემდეგი ოდენობით:

(მილიარდი მანეთი)

	1963 წელი	1964 წელი	1965 წელი
მოგების ანარიცხები	21,6	29,5	34,8
ბრუნვის გადასახადი	33,9	35,1	37,6
სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა შენატანი სოციალური დაზღვევისათვის, კოლმეურნეობათა და კოოპერაციის საშემოსავლო გადასახადი, საბაჟო და სხვა შემოსავალი	19,8	20,0	21,2

სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგებას, რომელიც გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების უდიდესი წყაროა. სახალხო მეურნეობის მოგების მთელი თანხა 1964 წელს მიაღწევს 36,6 მილიარდ მანეთს, ესე იგი ერთ წელიწადში 20,7 პროცენტით გადიდდება; 1965 წლისათვის მოგება დაგეგმილია 43,8 მილიარდი მანეთის ოდენობით. ბიუჯეტის შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბრუნვის გადასახადს, რომელიც სოციალისტურ საწარმოებში შექმნილი დაგროვების ნაწილია.

სოციალისტური ეკონომიკის წარმატებებმა და მეურნეობის დაგროვების ზრდამ შესაძლებლობა მოგვცა სისტემატურად შევამციროთ მოსახლეობის გადასახდელები ბიუჯეტში. მათი ხვედრითი წონა ბიუჯეტის შემოსავალში 1952 წლის 18,5 პროცენტიდან 1964 წელს 7,8 პროცენტამდე მცირდება. გადასახადთა შემცირების შედეგად ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიერ მიღებულმა სარგებლობამ უკანასკნელ ათ წელიწადში ერთ წელზე გაანგარიშებით დაახლოებით 2,1 მილიარდი მანეთი შეადგინა. 1964 წლის ბიუჯეტში მოსახლეობის გადასახადები გათვალისწინებულია 6,7 მილიარდი მანეთის ოდენობით. ეს თანხა განსაზღვრულია მოქმედი გადაკეთებისა და მშრომელთა შემოსავლის გადიდების გათვალისწინებით.

შემდგომ განვითარდება სახელმწიფო დაზღვევა.

ქიმიური მრეწველობისა და მრეწველობის სხვა დარგების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დაფინანსება

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებმა ქიმიური მრეწველობის უპირატესი განვითარების შესახებ, თქვა შემდეგ ამხ. ვ. თ. გარბუზოვმა, სრული გამოხატულება ჰპოვა 1964-1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის მაჩვენებლებში. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია 1965 წელს 1963 წელთან შედარებით 36 პროცენტით გადიდდება, ამასთან მინერალური სასუქების წარმოება — 75 პროცენტით, პლასტმასებისა და სინთეზური ფისებისა — 65 პროცენტით. ორ წელიწადში ამუშავდება 82 ქიმიური საწარმო და სამქრო, დაწყებულია 37 ქარხნის მშენებლობა.

ქიმიური წარმოების განვითარების ეს უზარმაზარი პროგრამა სავსებით უზრუნველყოფილია საჭირო ასიგნებებით სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ქიმიურ მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისათვის 1964 წელს გამოიყოფა 2.092 მილიონი მანეთი, ანუ 44 პროცენტით მეტი, ვიდრე 1963 წელს, და 1965 წელს — 2,757 მილიონი მანეთი, ანუ 32 პროცენტით მეტი, ვიდრე 1964 წელს.

დიდი ასიგნობებია გათვალისწინებული ქიმიური მრეწველობის საბრუნავ საშუალებათა შექმნისათვის, რაც ქმნის პირობებს პროდუქციის წარმოების დასახული გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ქიმიური საწარმოების საბრუნავ საშუალებათა ნორმატივი 1965 წელს მიაღწევს 1,3 მილიარდ მანეთს. ეს საწარმოები მნიშვნელოვან სახსრებს მიიღებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტებიდან.

ქიმიურ მრეწველობაში გაწეული უდიდესი კაპიტალური დაბანდებანი, როგორც განგაშრომება გვიჩვენებს, უხვად ანაზღაურდება უახლოეს წლებში.

დიდი ქიმიის შექმნის გრანდიოზული გეგმების განხორციელებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მეცნიერებას. 1964-1965 წლების ბიუჯეტით ქიმიური მეცნიერების განვითარებისათვის გათვალისწინებულია 686 მილიონი მანეთი.

ძმიმე მრეწველობა ყოველთვის წამყვან როლს ასრულებდა და შესასრულებს გაფართოებულ კვლავწარმოებაში, მისი განვითარება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გადამწყვეტი პირობაა. 1964-1965 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნობათა შემდგომი ზრდა ძმიმე მრეწველობის განვითარებისათვის, ამასთან ენერგეტიკის განვითარებისათვის — 30,0 პროცენტით, ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებისათვის — 38 პროცენტით.

ხელმძღვანელობს რა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით მოსახლეობის მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილების შესახებ, სახელმწიფო მნიშვნელოვან სახსრებს ახმარს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას. 1964-1965 წლებში მსუბუქი მრეწველობის დარგებში დაბანდებული იქნება 1,3 მილიარდი მანეთი, კვების მრეწველობაში — 2,4 მილიარდი მანეთი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქონლის ასორტიმენტის გაფართოებასა და გაუმჯობესებას ქიმიური მრეწველობის შესაძლებლობათა ფართოდ გამოყენების გზით. ეს ხელს შეუწყობს საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას.

მომავალი ორი წლისათვის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირება: 1964 წელს თვითღირებულება უნდა შემცირდეს, შესადარ პირობებში, 1,6 პროცენტით და 1965 წელს — 1,8 პროცენტით. ეს არის დაგროვების სწრაფი ზრდის მთავარი ფაქტორი. მრეწველობის მოგება 1964 წელს 20,8 მილიარდი მანეთი იქნება და წლის განმავლობაში გადიდდება 19,5 პროცენტით; 1965 წელს იგი მიაღწევს 25,8 მილიარდ მანეთს, ესე იგი გადიდდება 24,2 პროცენტით.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდა პარტიის, სახელმწიფოს, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთა მთავარი სახრუნვია. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში უნდა გაიზარდოს 1964 წელს 4,6 პროცენტით და 1965 წელს — 6,8 პროცენტით. ეს წყარო მოგვცემს სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების 70 პროცენტზე მეტ და ორ მილიარდ მანეთზე მეტ დამატებით დაგრავებას.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების განვითარებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის გეგმების შესრულებას. ახალი ტექნიკით სამრეწველო საწარმოთა აღსაჭურავი მოწყობილობის შესაძენად 1964-1965 წლებში ასიგნებული იქნება 15 მილიარდ მანეთზე მეტი. გარდა ამისა, ახალი ტექნიკის დასანერგავად საწარმოებსა და ორგანიზაციებს ყოველწლიურად მიეცემათ სსრ კავშირის სახბანკის კრედიტები დაახლოებით 500 მილიონი მანეთის ოდენობით.

ძველი მოწყობილობის შეცვლა უფრო პროგრესული მოწყობილობით ზრდის მაქნქანების შუშაობის გამძლეობასა და სანიმედოობას, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას.

მაქანათსამშენებლო საწარმოთა იმ დამატებითი ხარჯების ასანაზღაურებლად, რომელიც დაკავშირებულია ახალ სახეობათა მოწყობილობისა და მანქანების შექმნასა და ათვისებასთან, 1964-1965 წლებში გათვალისწინებულია სპეციალური ასიგნობანი 600 მილიონი მანეთის ოდენობით. იმ მიზნით, რომ წაადახლისოთ საწარმოთა კოლექტივები, რათა შექმნან და ათვისონ ახალი ტექნიკა, გამოყოფილია საპრემიო ფონდი 300 მილიონი მანეთის ოდენობით.

მრეწველობა ყოველწლიურად დიდ ეკონომიას იღებს ნედლეულისა და მასალების გამოყენების გაუმჯობესების შედეგად; მიმდინარე წლის 9 თვეში ზეგეგმიმმა ეკონომიამ ამ ფაქტორის საშუალებით შეადგინა 400 მილიონ მანეთზე მეტი. ამასთან ჯერ კიდევ ცოტა როდია საწარმოები, რომლებიც ზედმეტ ნედლეულს, მასალებს, სათბობსა და ელექტროენერგიას ხარჯავენ.

დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს იმ საბრუნავ საშუალებათა გამოყენების გაუმჯობესებას, რომლებიც საწარმოებისა და ორგანიზაციების განკარგულებაშია. მრეწველობას 1964 წლის დამდეგისათვის აქვს 24 მილიარდ მანეთზე მეტი საკუთარი საბრუნავი საშუალებანი. მომავალი ორი წლის განმავლობაში ეს საშუალებანი კიდევ 3,5 მილიარდი მანეთით გადიდდება, რაც სავსებით უზრუნველყოფს მრეწველობის ნორმალურ მუშაობას. მაგრამ ბევრ საწარმოში საბრუნავ საშუალებათა სწორად გამოყენების საკითხებს საკმაო ყურადღებას არ აქცევენ.

სკკპ პროგრამის იმ მითითების გათვალისწინებით, რომ სახალხო მეურნეობის ზრდა მოითხოვს ყველა სახეობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა დაჩქარებულ განვითარებას, ამ მიზნისათვის გათვალისწინებულია დიდი სახსრები. რკინიგზის, საჰაერო, წყლისა და საავტომობილო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებას 1964-1965 წლებში 15,8 მილიარდი მანეთი მოხმარდება. ეს სახსრები შესაძლებლობას გვაძლევს განვაგრძოთ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა ტექნიკური რეკონსტრუქცია, აღვჭურვოთ ტრანსპორტი ახალი ელმავლებით, თბომავლებით, თანამედროვე მძლავრი გემებითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით. ტრანსპორტის ტექნიკური აღჭურვა საშუალებას მოგვცემს შეუფერხებლად უზრუნველყოთ 1964-1965 წლებში სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი ტვირთზიდვასა და მგზავრთა გადაყვანაზე.

სოფლის მეურნეობის დაფინანსება

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენენ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. გარბუზოვმა. თანმიმდევრულად ხორციელდება ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის, რათა სრულად დაკმაყოფილოთ მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

სახელმწიფო სულ უფრო მზარდ ფინანსურ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. მარტო ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული თანხების გადამეტებით სოფლის მეურნეობას მიეცა 8,7 მილიარდი მანეთი დამატებითი კაპიტალური დაბანდებებისათვის, ახალი საბჭოთა მეურნეობის შესაქმნელად, მეცხოველეობის პროდუქციის, შაქრის ჭარხლის, ბამბისა და კარტოფილის შესასყიდად და ჩასაბარებელი ფასების გასადიდებლად, აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად.

1964-1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვნად გადიდება. ეს ამოცანა გადაიჭრება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის — სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდების გზით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1964-1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა სავსებით იქნება უზრუნველყოფილი საჭირო ფინანსური რესურსებით.

1964 წელს ამ მიზნისათვის გამოიყოფა 11,9 მილიარდი მანეთი — 22,5 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს, და 1965 წელს — 12,8 მილიარდი მანეთი.

კაპიტალური დაბანდებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში 1964 წელს იქნება 5,4 მილიარდი მანეთი და 1965 წელს — 6 მილიარდ მანეთზე მეტი; მარტო 1964 წელს კაპიტალური დაბანდებები გაიზრდება 35,3 პროცენტით. ამ სახსრებს ძირითადად გამოვიყენებთ წყალთა მეურნეობის მშენებლობისათვის, მეცხოველეობის სათავსოების ასაგებად, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად. ამასთან კოლმეურნეობებს 1964-1965 წლებში მიეცემათ გრძელვადიანი კრედიტები 2,8 მილიარდი მანეთის ოდენობით.

სახსრები, რომლებსაც სოფლის მეურნეობისათვის გამოვყოფთ, უზრუნველყოფს 1964 წელს დაახლოებით 22 მილიონ ტონას და 1965 წელს — 30 მილიონ ტონაზე მეტ მინერალური სასუქების მიწოდებას ნაცვლად 1963 წლის 15,9 მილიონ ტონისა. სარწყავი მიწების ფართობი გადიდდება 1964 წელს 313 ათასი ჰექტარით და 1965 წელს — 449 ათასი ჰექტარით. ეს საშუალებას მოგვცემს დაგიწყოთ მარცვლეული კულტურებისათვის მიწების რწყვის პირველი რიგის სამუშაოთა განხორციელება.

საბჭოთა მეურნეობების დასაფინანსებლად, რომლებიც სულ უფრო დიდმნიშვნელოვან ადგილს იკავებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში, 1964 წელს გამოიყოფა 7,4 მილიარდი მანეთი, ესე იგი 31 პროცენტით მეტი, ვიდრე 1963 წელს, და 1965 წელს — 8,4 მილიარდი მანეთი.

სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ საქონელბრუნვის მოცულობა 1964 წლისათვის განსაზღვრულია 6,8 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 12,7 პროცენტით მეტი 1963 წელთან შედარებთ; 1965 წელს ბრუნვა 7,3 მილიარდი მანეთი იქნება. საქონელბრუნვის ასეთი ზრდა უზრუნველყოფილია საკრო საბრუნავი საშუალებებით.

იმისათვის, რომ შევინახოთ მინერალური სასუქები, რომელთა მოწოდება ყოველ ზრდა 1964-1965 წლებში, დასახულია დიდი რაოდენობით ავაშენოთ საწყობები, რისთვისაც დაიხარჯება 260 მილიონ მანეთზე მეტი.

საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მექანიზატორთა კვალიფიკური კადრების მოსამზადებლად უახლოესი ორი წლისათვის გამოიყოფა 541 მილიონი მანეთი. ამ სახსრებით მოვამზადებთ 700 ათასზე მეტ კაცს. მექანიზატორთა მომზადება საშუალებას მოგვცემს უკეთ გამოვიყენოთ ტექნიკა სოფლის მეურნეობაში, გაუზარდოთ შრომის ნაყოფიერება.

გეგმასა და ბიუჯეტში გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობების ძირითად სახეობათა პროდუქციის თვითღირებულება შემცირდეს 1964 წელს 1962 წელთან შედარებით 9,1 პროცენტით და 1965 წელს — 14,2 პროცენტით. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ საბჭოთა მეურნეობები 1964 წელს მიიღებენ 240 მილიონ მანეთ მოგებას და 1965 წელს — 661 მილიონ მანეთს. ამ მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი დარჩებათ საბჭოთა მეურნეობებს წარმოების გაფართოებისათვის, მუშაკთა მატერიალური წახალისებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება

ჩვენი პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს ფიდელ კაპიტალურ დაბანდებებს. ამოცანა ის არის, თქვა ამხ. გარბუზოვმა, რომ ეს დაბანდებანი გამოვიყენოთ ზედმიწევნით გონივრულად და ეკონომიურად, მაქსიმალური შედეგებითა და დროის მოგებით.

ამ ბოლო წლებში განხორციელდა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად. ხორციელდება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებანი, კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის ძირეულად გაუმჯობესების შესახებ. მშენებლობა გამოოყოფილია სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელ დარგად, გარდაიქმნა და ახალი ფუნქციები დაეკისრა სსრ კავშირის სახმშენს, დადგენილია მშენებლობათა სატრტოლო სიების დამტკიცების ახალი წესი, რომელიც გულისხმობს, რომ კაპიტალური დაბანდებანი დაგეგმოთ კონკრეტულად ობიექტებისა და დარგების მიხედვით თვითეული მშენებლობის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მითითებათა შესაბამისად 1964-1965 წლების გეგმით სახსრები, პირველ რიგში, ხმარდება ასამშავებელ ობიექტებს, რამაც ამ წლებში უნდა უზრუნველყოს საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება და დაუმთავრებელი მშენებლობის შემცირება. მაგალითად, 1964 წელს ძირითადი ფონდების ამოქმედება 13,6 პროცენტით გადიდდება და 1965 წელს — 11 პროცენტით, ხოლო ქიმიურ მრეწველობაში — შესაბამისად 48 პროცენტით და 36 პროცენტით. ამის შედეგად დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთები ორ წელიწადში შემცირდება მილიარდნახევარი მანეთით.

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების დაფინანსების თანხა, მასთან საბრუნავ საშუალებათა მატება მშენებლობაში, 1964 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად განსაზღვრულია 36,5 მილიარდი მანეთით და 1965 წელს — 39,9 მილიარდი მანეთით.

პარტიას და მთავრობას, ამბობს მომხსენებელი, არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ შეუწყნარებელია დაუდგმელი მოწყობილობის ზედმეტი მარაგის წარმოქმნა. მიუხედავად ამისა, ეს მარაგი კვლავ იზრდება, რაც იმით აიხსნება, რომ გეგმებში საკმაოდ არ არის შეთანხმებული მშენებლობისა და მოწყობილობის შეზიდვის ვადები, აგრეთვე დროულად არ მთავრდება მშენებლობა. სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა გაარკვიონ მოწყობილობის რა მარაგი არის მშენებლობებზე, განახორციელონ საჭირო შემთხვევებში მათი ხელახლა განაწილება, უზრუნველყონ მოწყობილობის შეკვეთებისა და დამტკიცებული სატრტოლო სიების შეთანხმება.

კაპიტალური დაბანდების დაფინანსების წყაროებში გათვალისწინებულია 1964 წელს 425 მილიონი მანეთი და 1965 წელს 170 მილიონი მანეთი, რაც თავისუფლდება მშენებლობებზე არსებული მოწყობილობის მარაგის გამოყენების გზით.

სსრ კავშირის მშენბანკი და საფინანსო ორგანები, აღნიშნავს ამხ. გარბუზოვი, მოვალენი არიან სისტემატური კონტროლი გაუწიონ იმ სახსრების ხარჯვას, რომლებიც მოწყობილობის შესაძენად გამოიყოფა და იმას, თუ რამდენად შეესაბამება მოწყობილობის მიწოდების მოცულობა ამ მიზნისათვის გათვალისწინებულ ასიგნობებს, მიიღონ გადამჭრელი ზომები იმ მშენებლობათა მიმართ, რომლებიც მოწყობილობის მოლტაჟ აყოვნებენ.

ვაჭრობის დაფინანსება

საბჭოთა ვაჭრობის განვითარება ხალხის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებელი პირობაა, განაგრძობს ამხ. გარბუზოვი. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდმივად ზრუნავენ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისათვის, საგაჭრო საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. სახალხო-სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს, რომ 1964 წელს საცალო საქონელბრუნვა გადიდდეს 5,7 პროცენტით და 1965 წელს — 6,4 პროცენტით. საქონელბრუნვის დასახულ მოცულობას უზრუნველყოფს სასაქონლო ფონდების მნიშვნელოვანი გაფართოება. ამ წლების მანძილზე კაპიტალური დაბანდება სახელმწიფო ვაჭრობაში შეადგენს დაახლოებით ერთ მილიარდ მანეთს, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ ავაშენოთ მეტი მაღაზიები, საწყობები, ბოსტნეულსაცავები და საზოგადოებრივი კვების საწარმოები.

სავაჭრო ორგანიზაციათა საბრუნავი საშუალებანი გადიდდება 700 მილიონი მანეთით. გაიზრდება აგრეთვე სსრ კავშირის სახბანკის საკრედიტო დაბანდება ვაჭრობაში.

სავაჭრო ორგანიზაციები, ხაზგასმით აღნიშნავს მომხსენებელი, მოვალენი არიან უფრო მეტი ზემოქმედება მოახდინონ მრეწველობის მუშაობაზე იმ მიზნით, რომ დროულად იქნას გამოშვებული თანამედროვე მოდელისა და ფასონის საქონელი. ჩვენმა მრეწველობამ უნდა აწარმოოს მხოლოდ ისეთი საქონელი, რომელსაც მოსახლეობა მოითხოვს. საბჭოთა გადაჭრით გაძლიერდეს სამრეწველო საწარმოთა მატერიალური პასუხისმგებლობა იმ საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხისათვის, რომელსაც ვაჭრობას აწოდებენ, აგრეთვე მათი სწრაფი რეალიზაციისათვის.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის დაფინანსება

ჩვენი პარტიის პოლიტიკა, განაცხადა მომხსენებელმა, გამსჭვალულია კომუნიზმის დიადი იდეებით: ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის! პარტიის პროგრამა ითვალისწინებს, რომ სულ უფრო დავაკმაყოფილოთ ხალხის პირადი მოთხოვნილებანი მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებით. ამ ფონდების საშუალებით საბჭოთა ადამიანები იღებენ უფასო განათლებას, სარგებლობენ სამედიცინო მომსახურებით, უზრუნველყოფილი არიან პენსიებით, დახმარებითა და ანაზღაურებული შვებულებებით. ეს სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარია.

1964 წლის ბიუჯეტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის ასიგნობანი გათვალისწინებულია 32,7 მილიარდი მანეთის ოდენობით და 1965 წლისათვის 34,5 მილიარდი მანეთის ოდენობით. ცალკეულ სახეობათა ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია:

(მილიარდი მანეთი)

	1963 წელი	1964 წელი	1965 წელი
სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურისათვის	13,8	14,6	15,4
ჯანმრთელობის დაცვისათვის	5,3	5,4	5,7
სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის	12,0	12,7	13,4

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დაფინანსებისათვის 1964 წელს დასახულია დახარჯოს 4,3 მილიარდი მანეთი, ეს სახსრები უზრუნველყოფენ იმას, რომ ისწავლოს 46,9 მილიონმა კაცმა, 2,3 მილიონით მეტმა, ვიდრე 1963 წელს. სკოლა-ინტერნატებსა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში ისწავლის თითქმის 3 მილიონი ბავშვი.

წლითიწლობით ფართოვდება საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების ქსელი. ამ დაწესებულებათა ქსელის განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს შვიდწლიდის გეგმის დავალებებს. შვიდწლიდის განვლილ წლებში ბავშვთა რიცხვი სკოლამდელ დაწესებულებებში გადიდდა 80 პროცენტით, ხოლო მომავალ ორ წელიწადში გადიდდება კიდევ 20 პროცენტით. 1965 წელს საბავშვო ბაღებსა და ბაგებში აღიზრდება 7,5 მილიონი ბავშვი. ამ დაწესებულებათა შესანახად 1964 წელს ასიგნებულია 1,7 მილიარდი მანეთი და 1965 წელს — 1,9 მილიარდი მანეთი.

თანამედროვე წარმოების ინტერესები მოითხოვენ სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა შესახებ 1964-1965 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებულია თითქმის 4 მილიარდი მანეთი. ამ სასწავლებლებში 1965 წელს ისწავლის 7,4 მილიონი კაცი, რაც 1,5-ჯერ აღემატება უმაღლეს სასწავლებელთა და ორჯერ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა შვიდწლიანი გეგმის დავალებებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ სწრაფად იზრდება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშებზე, ამბობს ამხ. გარბუზოვი, უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა კადრების მომზადება პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებსა და სკოლებში. 1965 წელს ამ სასწავლებლებში ისწავლის 1,6 მილიონზე მეტი კაცი ნაცვლად 1958 წლის 0,8 მილიონი კაცისა. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეების სწავლებასა და მატერიალურ უზრუნველყოფას ორი წლის მანძილზე მოხმარდება 1,5 მილიარდზე მეტი მანეთი.

საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების დასაჩქარებლად და სახალხო კეთილდღეობის გასაუმჯობესებ ე ბ ლ ა დ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეურნეობაში ვითარდება ელექტრიფიკაცია, ფიზიკის, ბიოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა უახლესი აღმოჩენები. შვიდწლედის ხუთწელიწადში ხარჯები მეცნიერებისათვის გადიდდება ერთიანად და მეტად. 1964 წელს მეცნიერების განვითარებისათვის დასახულია დაიხარჯოს 5,2 მილიარდი მანეთი, ანუ 5,6 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს; 1965 წელს ეს ხარჯები მიადწევს 5,4 მილიარდ მანეთს.

სოციალისტური სახელმწიფოს განსაკუთრებული

საქართველოს დიდი ქიმიის მეშენებელთა ზრომითი გამარჯვება

(დასასრული)

ახალი დიდი ამოცანებია — ამიაკის წარმოების გაფართოება, შარდოვანის დამზადების ახალი საამქროს ამუშავება.

კაველექტრომონტაჟის სამმართველოს მემონტაჟეთა სახელით სიტყვას ამბობს ბრიგადის ხელმძღვანელი **ვ. დრობოტი.** ამ სამმართველომ ოდესღაც ტრიალ მინდორზე დიდი მუშაობა აწარმოა აზოტოვანი სასუქების ქარხნის, საქართველოს დიდი ქიმიის სხვა ობიექტების, მათ შორის კაპროლაქტამის წარმოების დამონტაჟებისათვის.

— არ შეიძლება ითქვას, რომ მშენებლობისა და დამონტაჟების პროცესში ყველაფერი იოლად მიდიოდა, აღნიშნავს ვ. დრობოტი, — არა, იყო ბევრი სიძნელე. მაგრამ მუშებისა და სპეციალისტების თავდადებული შრომის შედეგად ეს სიძნელეები გადავლახეთ. გვიხარია, რომ მოვიპოვეთ დიდი შრომითი გამარჯვება, რომ ინდუსტრიულმა რუსთავამ სამშობლოს უძღვნა დიდი ქიმიის ახალი გოლიათი.

ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მონაწილე, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორი **ა. საღარეიშვილი.**

— ჩვენ მივიღეთ კაპროლაქტამი — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქიმიური პროდუქტი, თქვა ორატორმა, — ეს ჩვენი საჩუქარია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისათვის.

— ჩვენი ქარხნის მოწყობილობის დამზადებაში მონაწილეობას იღებდა დაბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქიმიური, მანქანათმშენებელი, ხელსაწყოთსაშენებელი და საარმატურო ქარხანა, — ხაზგასმით აღნიშნა ა. საღარეიშვილმა, — თავისი წვლილი შეიტანა ბევრმა საპროექტო ორგანიზაციამ.

ამხ. საღარეიშვილმა მადლობა გადაუხადა მშენებლებსა და მემონტაჟეებს გაწეული მუშაობისათვის. მან აღუთქვა პარტიასა და მთავრობას, რომ აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს კაპროლაქტამის წარმოების სიმძლავრეთა უსწრაფესი ათვისებისათვის, ახალი ობიექტების მწყობრში ჩაყენებისათვის.

— კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსის მშენებლობა, — გააცხადა რუსთავის კომკავშირის საცალქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **კ. უამიერაშვილმა,** — სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად იყო გამოცხადებული. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით ათასზე მეტი კომკავშირელი, ახალგაზრდა შუშა მოვიდა რუსთავის ველზე, რათა ბეჯითი შრომით აეშენებინათ უზარმაზარი უნიკალური საწარმო. და ჩვენ ვამაყობთ, რომ კომკავშირელებმა, ახალგაზრდებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს შვიდწლედის ამ გიგანტის შენებაში.

რუსთავის კომკავშირელები, თქვა ორატორმა, შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე, ყველფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დროულად უზრუნველყონ დიდი ქიმიის ახალი ობიექტების ამუშავება.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. **გ. ა. გეგეშიძემ.**

ამხ. გ. ა. გეგეშიძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელითა და დავალებით ნება მიბოძეთ რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშენებლებს, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებსა და ქიმიკოსებს მხურვალედ მივულოცო შესანიშნავი შრომითი გამარჯვება — კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსის ამუშავება, აგრეთვე მინერალური სასუქების წარმოების დამატებით სიმძლავრეთა ამუშავება.

როგორც ხაზგასმით აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში, თქვენი თავდადებული შრომის ნაყოფი არსებითი წვლილია ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში, ეს კარგი საჩუქარია სამშობლოსათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის აღსანიშნავად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოველი პლენუმი დიდი მოვლენაა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს პარტიის XXII ყრილობის გადწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, რადგან იგი კომუნისტური მშენებლობის ახალი, დიდმნიშვნელოვანი ეტაპია.

ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 6 ათასამდე კაცი, შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში დიდი ქიმიის განვითარების გრანდიოზული პროგრამა. ეს პროგრამა მკაფიოდ და ნათლად არის მოცემული ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასა და საბოლოო სიტყვაში, პლენუმის დადგენილებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს აუცილებლად მიაჩნია პარტიისა და ხალხის მთელი ყურადღება მიაპყროს ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებულ განვითარებას, ქიმიის მიღწევების ფართო გამოყენებას სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

ჩვენ, ამხანაგებო, ქიმიისათვის მებრძოლთა დიადი არმიის რიგითი ჯარისკაცები ვართ. და დღეს ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვიამაყოთ საქართველოს დიდი ქიმიის პირმშოთი, საერთო საქმეში შეტანილი წვლილით. კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსი, რომელიც მწყობრში ჩადგა, ჩვენს ქვეყანას ხომ დამატებით მისცემს ასი ათასობით ტონა მაღალხარისხოვან კაპრონის ნედლეულს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობისათვის, კორდის ბოჭკოსა და სხვა ნედლეულს.

კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსის ამუშავებასთან ერთად დღეს ჩვენ აღვნიშნავთ კიდევ ერთ დიდ საწარმოო გამარჯვებას — მწყობრში ჩადგა მინერალური სასუქების წარმოება საამქროები. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოების გზით ამუშავდა სინთეზური ამიაკის, აზოტმჟავის, ამონიუმის გვარჯილის, აგრეთვე ამონიუმის სულფატის (რომელსაც კაპროლაქტამის ნარჩენებისაგან დაამზადებენ) წარმოების დამატებითი სიმძლავრეები.

რუსთავის ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა თანამედროვე „მოწყობილობით აღჭურვილი შესანიშნავი საწარმოები მიიღეს. ახლა სიტყვა თქვენზეა, ამხანაგო ექსპლოატაციის მუშაკებო! თქვენ რაც შეიძლება სწრაფად უნდა აითვისოთ ახალი სიმძლავრენი, უზრუნველყოთ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, ლისიჩანსკის ქიმიური კომბინატის კოლექტივის მაგალითისამებრ, რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხნის მუშაკებმა უნდა დაისახონ ამოცანა — თვითონ საწარმო სანიმუშო სარეკორდო საწარმოდ გადააქციონ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქიმიური მრეწველობა ახლა პირველ პლანზე დგება სახალხო მეურნეობაში იმიტომ, რომ ქიმიური პროდუქტებისა და სინთეზური მასალების გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს განვახორციელოთ მატერიალური წარმოების წამყვან სფეროებში ძირეული თვისებრივი გარდაქმნები“.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების წინაშე დიდი პასუხსაგები ამოცანები დგას. უნდა ავიღოთ ახალი მიჯნები, ავითვისოთ ქიმიური მრეწველობის ახალი სიმძლავრეები. ქეთაისის ლითოფონის ქარხანამ დამატებით უნდა აწარმოოს რამდენიმე ათასი ტონა შაბიამანი. განზრახულია, რომ ეკვე მომავალ წელს რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანა გამოუშვებს კორდის ბოჭკო-ნედლეულს სალტის მრეწველობისათვის. რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხანაში მწყობრში ჩადგება შხამქიმიკატების, კერძოდ ციანური მარილების წარმოების ახალი სიმძლავრეები.

დაჩქარებული ტემპით უნდა აშენდეს რუსთავში კალიუმის ბერმანგანატის, ამინების, მანგანუმის ორანგნის და სხვა საამქროები. ყველა ამ ამოცანის შესრულება ჩვენ, უდავოდ, შეგვიძლია, მაგრამ იმისათვის, რომ ისინი წარმატებით შეგასრულოთ, უწინარეს ყოვლისა თვითეულ მშრომელს უნდა გავაცნოთ ცენტრალური კომიტეტის „პლენუმის მასალები, იმისათვის, რომ მან კარგად გაარკვიოს თავისი ადგილი საყოველთაო სახალხო ბრძოლაში. ძირეულად უნდა გავაუმჯობესოთ ქიმიურ საწარმოთა მშენებლობისა და მათი მოწყობილობის დაკომპლექტების ორგანიზაცია. უნდა გავაძლიროთ ქიმიის ობიექტებზე მომუშავე სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების სიმძლავრენი, განვამტკიცოთ ისინი კადრებით, უზრუნველყოთ მექანიზმებით, მანქანებითა და ტრანსპორტით.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ქიმიური მრეწველობის ხელმძღვანელებს, ეფექტიანი ... როლი გაუწიონ ამ საწარმოებში სიმძლავრეთა ... ...

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ჩვენი მკითხველები და კორესპონდენტები გვატყობინებენ



სიახლეთა დაბადება

□ **ქუთაისი.** (საკ. კორ.). ამ დღეებში ქალაქის ორ უბანში — ლერმონტოვისა და სოხუმის ქუჩებზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ტიპური პროექტით აგებული ორსართულიანი საბავშვო ბაღები.

თვითეული საბავშვო ბაღი ას აღსაზრდელზეა გათვალისწინებული.

□ **„ოქროს** რთველია“ გაჩაღებული მახარაძის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში. წელს ციტრუსების უხვი მოსავალია.

მიმდინარე წლის სეზონისათვის სოფელ ჯუმათში გაიხსნა ახალი შემფუთავი ქარხანა, რომელიც მომსახურებას უწევს ჯუმათის, სილაურისა და განახლების კოლმეურნეობებს.

შ. ზაქარიაძე.

□ **ბოლნისი.** უსაზღვროა კიროვისელ მოსწავლეთა სიხარული. აქ აიგო სკოლის ახალი შენობა, რომელშიც საკლასო ოთახების გარდა მოთავსდა სასწავლო კაბინეტები და მოსწავლეთა სასადილო. შენობის აგებაში თვით მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა.

მ. ამირხანოვი.

□ **ქედი** რაიონის ცენტრში გაიხსნა ახალი უნივერმაღი, სადაც ოთხი სექცია მუშაობს.

ს. ბეჟანიძე.



უკრავს ე. ბენგტსონი

რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართა დანიელი ვიოლონჩელისტის ერლინგ ბენგტსონის კონცერტი.

დანიელი მუსიკოსი სამი წლის ასაკში დაეწაფა მუსიკას და 1936 წელს ოთხი წლისამ გამართა პირველი კონცერტი. იგი ათი წლისა იყო, როცა კოპენჰაგენის უდიდეს დარბაზში სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მაყურებლის წინაშე წარსდგა, როგორც დებიუტანტი.

დებიუტმა წარმატებით ჩაიარა. მას შემდეგ იგი კონცერტებს მართავს ლოწდონში, ლისაბონში, ბერლინში, პრაღაში, სკანდინავიის ქვეყნებში.

ბენგტსონი ფართო საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა. საბჭოთა კავშირში იგი მესამედ ჩამოვიდა. ამჯერად, ორკონიკეიისა და ბაქის შემდეგ, თბილისს ეწვია.

თბილისელი მაყურებლის წინაშე იგი საინტერესო რეპერტუარით წარსდგა: ჰაიდნი, ბრამსი, დებიუსი, ბარვერი და მარტინუს ვარიაციები როსინის თემაზე. ბეერის სირბილისა და ტექნიკის ბუნებრივმა შერწყმამ განაპირობა კონცერტის წარმატება.

მეორე კონცერტი გაიმართა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. კონცერტში მონაწილეობდნენ დანიელი ვიოლონჩელისტი ბენგტსონი, საბჭოთა პიანისტი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ნაუმ შტარკმანი და ირანელი დირიჟორი ხეშმატ სანჯარი.

კ. მაკარიძე.

• • •

სურათზე: ერლინგ ბენგტსონი.

იტალიის ქალთა წარმოგზავნილები თბილისში

გუშინ, 17 დეკემბერს თბილისში ჩამოვიდნენ იტალიის ქალთა კავშირის წარმომადგენლები. ჩამოსულთა შორის არიან კავშირის აქტიური მოღვაწეები ჯიზელა სინიორი, დელფინა კარლეტტა ფრიდა მალანი. ისინი სტუმრად იმყოფებიან სსრ კავშირში საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის მიწვევით, უკვე იყვნენ მოსკოვსა და ლენინგრადში.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ნ. ჯავახიშვილი, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი თ. აბაშმაძე, საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ე. ღავთაძე.

თბილისში ჩამოსულის პირველ ღღეს იტალიელი ქალები ეცნობოდნენ ჩვენს დედაქალაქს. საღამოს მათ ნახეს სტუდია „ქართული ფილმის“ დოკუმენტური კინოსურათები. (საქდესი).

კოლხიდის ტორფი ეკრანზე

კოლხიდის ზღვისპირა ქალაქში ჩამოვიდა ტორფის მრეწველობის ლენინგრადის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კინოგადამღებთა ჯგუფი, რომელიც იღებს ახალ სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს „კოლხიდის ტორფი“. გადაღებას ხელმძღვანელობენ სტუდიის უფროსი ვ. არხიეევი და ოპერატორი ე. დენისოვი.

როგორც ვ. არხიევმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ფილმში აისახება ტორფის მოპოვება-გადამუშავების მთელი პროცესი, ის მდიდარი კარიერები, რომლებიც განლაგებულია პალიასტომის ტბის სანაპიროზე, ფოთელ მეტორფეთა შრომითი საკმაისობა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კადრები, რომლებშეც ნაჩვენები იქნება მეცნიერ მუშაკთა და ფოთის ჰიდრომექანიზმების და ტორფის ქარხნების სპეციალისტთა მიერ დაპროექტებული და აგებული მრავალჩამჩიანი მცურავი ექსკავატორი.

მრავალი წლის მანძილზე გაწეული კვლევა-ძიებით შექმნილი ეს მანქანა-დანადგარი უნიკალურია და მისი მეშვეობით წარმოებს ტორფის ამოღება-გადასროლა წყლიდან ქარხნის საშრობ მოედნებამდე. ფილმი, რომელიც ფერადია და ორი ნაწილისაგან შედგება საკავშირო ეკრანზე გამოვა 1964 წლის თებერვალში.

კ. კომახიძე.

ლამაზია ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი. საქართველოს კურორტების თვალწარმტაცი ადგილები მნახველთა აღტაცებას იწვევს. ბევრი ფოტოფირზე აღბეჭდავს ხოლმე ლამაზ ხედებს და რედაქციას უგზავნის. სილამაზით სახელგანთქმულია აგრეთვე კურორტი საირმე. სურათზე: კურორტ საირმის გზაზე.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

ამერიკის ბაზები ლიკვიდირებულია

რაბატი, 17 დეკემბერი. (საკდესი). მაროკოს ეროვნული ალმა აფრიალდა ამერიკის ნუასერის ყოფილ სამხედრო-საჰაერო ბაზაში, რომელიც კენიტრში მდებარე მეორე ბაზასთან ერთად გუშინ გადასცეს ამერიკის სამხედრო წარმომადგენლებმა მაროკოს ხელისუფალთ, ეს ორი უკანასკნელი ბაზაა ხუთი ამერიკული სამხედრო ბაზიდან მაროკოში, რომლებიც გაუქმდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მაროკოს 1961 წლის შეთანხმების შესაბამისად.

მაროკოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გედირამ, რომელიც ბაზების გადაცემისას მეთაურობდა მაროკოს მხარეს, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების პირადი შემადგენლობის ნაწილი დარჩება კენტრში, რათა ასწავლოს მაროკოელ სამხედრო მოსამსახურეებს.

ნუასერის ბაზა გადაიცემა მაროკოს მთავარ სამოქალაქო აეროპორტად.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 16 დეკემბერი. (საკდესი). უშიშროების საბჭომ ერთხმად ურჩია გენერალურ ასამბლეას მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოები — ზანზიბარი და კენია. მათი მიღების შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 113 სახელმწიფო იქნება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი წევრები

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად დაამტკიცა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციები, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად მიიღონ ზანზიბარი და კენია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის ფასადის წინ ფლაგშტოკებზე აფრიალდა აფრიკის ორი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეროვნული ალმები.

თავისუფლება პატიმრებს!

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა რეზოლუცია, რომელიც ინგლისისგან მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს აღენში დაპატიმრებული ყველა პროფკავშირული და პოლიტიკური მოღვაწე, შეწყვიტოს რეპრესიები.

იემენის დელეგატმა გენერალური ასამბლეის მონაწილეებს გააცნო ადენის პროფკავშირების კონგრესისაგან მიღებული დეპეშა, რომელშიც დაგმობილია მასობრივი დაპატიმრებანი ადენში. კონგრესი მოითხოვს დაპატიმრებულთა განთავისუფლებას, საგანგებო წესების გაუქმებას და რეპრესიების შეწყვეტას ადენში.

„მარათონი“ გრძელდება

ბრიუსელი, 16 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ კონგრესთა სასახლეში დაიწყო „საერთო ბაზრის“ მინისტრების საბჭოს მორიგი სესია, რომელშიც მონაწილეობენ „ექვსეულის“ სოფლის მეურნეობის მინისტრები. ეს ეგრეთწოდებული მარათონის მეორე სესიაა, რომელიც 9 დეკემბერს დაიწყო და 21 დეკემბერს დამთავრდება. დღის წესრიგშია ბრინჯის, რძის პროდუქტებისა და ძროხის ხორცის ფასების უნიფიკაციის საკითხები, რომლებიც წინა სესიაზე ვერ გადაწყდა „საერთო ბაზრის“ ქვეყნებს შორის, უმთავრესად საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის დიდი უთანხმოების გამო, აგრეთვე მარცვალზე ერთიანი ფასების დადგენის საკითხი.

18 დეკემბერს სოფლის მეურნეობის მინისტრებს შეუერთდებიან ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები.

საფრანგეთი კატეგორიულად მოითხოვს, რომ „საერთო ბაზრის“ სოფლის მეურნეობის პრობლემები წლის ბოლომდე გადაწყდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაერთიანების დაშლით იმუქრება.

ტირინგის გეგმა

ვენა. (საკდესი). ავსტრიის საზოგადო მოღვაწემ ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა გ. ტირინგმა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე წამოაყენა გეგმა ევროპაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პრაქტიკულად განსორციელების შესახებ. „ტირინგის გეგმის“ აზრი ის არის, რომ ნეიტრალური ავსტრია საკუთარი ინიციატივით განაცხადებს სრულ განიარაღებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მას გამოაცხადებს იმ სახელმწიფოს მაგალითად, რომელიც დაადასტურებს, რომ შესაძლებელია განიარაღება და მშვიდობიანი თანაარსებობა.

ავსტრია, მოითხოვს ტირინგი, სახელმწიფო ხელშეკრულების დამდე ექვს მეზობელ ქვეყანასთან კონსულტაციის შემდეგ განაცხადებს, რომ მთლიანად დაითხოვს თავის შეიარაღებულ ძალებს და რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლს დაამყარებს შემდეგი პირობებით:

ავსტრიის ექვსი მოსაზღვრე ქვეყანა დაადასტურებს, რომ არა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები ავსტრიის მიმართ და ხელშეუხებლად შეაჩნია მისი საზღვრები. ამავე დროს ისინი დააშორებენ თავიანთ ჯარებს ავსტრიის საზღვრის.

ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი გამოიყენებენ თავიანთ გავლენას, რათა ნატოს მონაწილე ქვეყნებმა არ მიმართონ რაიმე არასასურველ ნოტიფიკაციას ავსტრიის წინააღმდეგ. ანალოგიურ ვალდებულებას იკისრებს სსრ კავშირი ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა მიმართ.

კონტროლდაქვემდებარებული განიარაღების შემდეგ ავსტრია გახდება განიარაღებული სახელმწიფოს ნიმუში.

ქართული მუსიკა — ჩეხოსლოვაკიაში

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი დირიჟორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოდისი დიმიტრიადი, რომელმაც ჩეხოსლოვაკიის ქალაქებში რამდენიმე კონცერტი გამართა.

დიდი წარმატებით ჩაიარა ო. დიმიტრიადის ორმა კონცერტმა პრაღის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად დედაქალაქის სმეტანას სახელობის საკონცერტო დარბაზში. კონცერტმა საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. პროგრამაში იყო პ. ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია, შ. მშველიძის სიმფონიური პოემა „მინდია“ და ა. მაჭავარიანის პირველი სიუიტა ბალეტ „ოტელოდან“.

შემდეგი ორი კონცერტი დირიჟორმა გამართა სლოვაკიის დედაქალაქ ბრატისლავაში. აქ, გარდა პ. ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონიისა, შესრულებული იყო ო. თაქთაქიშვილის მეორე სიმფონია და ს. პროკოფიევის პირველი საფორტეპიანო კონცერტი (სოლისტი ნ. იუზბაშევა).

ჩეხოსლოვაკიის მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს და საქართველოს დირიჟორის საშემსრულებლო ოსტატობას.

ა. ჯორჯიაშვილი.

ამერიკელ ბიუჯეტი

ბოლონია. (საკ. კორ.). ამ დღეებში ქალაქის ორ უბანში — ლერმონტოვისა და სოხუმის ქუჩებზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ტიპური პროექტით აგებული ორსართულიანი საბავშვო ბაღები.

თვითეული საბავშვო ბაღი ას აღსაზრდელზეა გათვალისწინებული.

□ **„ოქროს** რთველია“ გაჩაღებული მახარაძის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში. წელს ციტრუსების უხვი მოსავალია.

მიმდინარე წლის სეზონისათვის სოფელ ჯუმათში გაიხსნა ახალი შემფუთავი ქარხანა, რომელიც მომსახურებას უწევს ჯუმათის, სილაურისა და განახლების კოლმეურნეობებს.

შ. ზაქარიაძე.

□ **ბოლნისი.** უსაზღვროა კიროვისელ მოსწავლეთა სიხარული. აქ აიგო სკოლის ახალი შენობა, რომელშიც საკლასო ოთახების გარდა მოთავსდა სასწავლო კაბინეტები და მოსწავლეთა სასადილო. შენობის აგებაში თვით მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა.

მ. ამირხანოვი.

□ **ქედი** რაიონის ცენტრში გაიხსნა ახალი უნივერმაღი, სადაც ოთხი სექცია მუშაობს.

ს. ბეჟანიძე.

მთავარი ადგილი უკავია მოსკოვის ახალ ამბებს

პარიზი, 16 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. პონომარიოვი გვატყობინებს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას პირველი ადგილი უკავია აქაურ გაზეთებში, მიუხედავად, იმისა, რომ თვით პარიზში ამ დღეებში მიმდინარეობს ნატოს ქვეყნების მინისტრთა შეხვედრა და მუშაობა დაიწყო ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს მორიგმა სესიამ.

თუ ნატოს სასახლეში, გაზეთების ერთსულოვანი აზრით, მაინც და მაინც მოსაღოდნელი არ არის „სენსაციურ გადაწყვეტილებათა“ მიღება, კრემლიდან, აღნიშნავენ ისინი, პირველთარამეტნაირ მნიშვნელობის ცნობებს უნდა ველოდოთ. „საბჭოთა კავშირმა,— წერს გაზეთი „პარი-ჟური“, — მშვიდობიან ბრძოლაში გამოიწვია დასავლეთის სახელმწიფოები, როცა კეთილი ნება გამოავლინა და განაცხადა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება კვლავ უნდა გაგრძელდეს“.

გაზეთ „ლიბერასიონის“ მიმომხილველი პიერ ბორელი ერთმანეთს უპირისპირებს, ერთი მხრივ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებებსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგს და, მეორე მხრივ, იმ საკითხებს, რომლებსაც ნატოს ქვეყნების მინისტრებს აწუხებთ. „საბჭოთა კავშირი ამცირებს სამხედრო ბიუჯეტს, — იუწყება გაზეთი მსგავი შრიფტით აწყობილი სათაურში, — ...ხოლო პარიზში დასავლეთის წარმომადგენლები განიხილავენ „მრავალმხრივი ატომური ძალების“ პრობლემებს“. სტატიის ავტორი, ისევე, როგორც პარიზის დღევანდელი გაზეთების ბევრი მიმომხილველი, დასავლეთს მოუწოდებს გამოხმაუროს საბჭოთა კავშირის ახალ მშვიდობიან ინიციატივას.

პრესა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, უდავოდ, ვადამწყვეტ გავლენას მოახდენს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე. მოსკოვში დასახული გეგმების განხორციელება, წერს „ლუმანიტე“, საშუალებას შექმნის მნიშვნელოვნად აამაღლოს წარმოების დონე და შესაბამისად შემცირდეს ფასები. „სხვანაირად რომ ვთქვათ, ქომეური მრეწველობის განვითარების გეგმა მთლიანად მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას“. მთელი მსოფლიოს ხალხები, — განაგრძობს „ლუმანიტე“, — ამით კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან, რომ საბჭოთა კავშირს სურს ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას“.

„სწრაფი გრდა ყველა დარგში“

ლონდონი, 16 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნა და ამ სესიაზე გამოცხადებული 1964 წლის ბიუჯეტის პროექტი უმაღლეს გამდა უმნიშვნელოვანესი ახალი ამბავი ინგლისის დედაქალაქში. „რუსეთი ამცირებს თავდაცვის ხარჯებს 246 მილიონი გირვანქით (600 მილიონი მანეთით)“ ნათქვამია „ივნინგ ნიუსის“ დიდ სათაურში.

„საბჭოთა ბიუჯეტი უზრუნველყოფს მრეწველობის ყველა დარგის სწრაფ ზრდას“, — ასეთ სათაურს ბეჭდავს საღამოს გაზეთი „ივნინგ სტანდარდი“.

საღამოს გაზეთები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ზოგიერთი კატეგორიის მშრომელთა ხელფასის გადიდება.

სხვადასხვა მერიდიანზე

□ **ამერიკის** შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა თომას მანი (ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მექსიკაში) პასუხისმგებლად დანიშნა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შემუშავებისათვის ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართ. თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში პ. სელინჯერმა თქვა, რომ მას ექნება რწმენება „ყოველგვარ საშუალებას მიმართოს ლათინურ ამერიკულ ოპერაციებში“.

□ **საბერძნეთში** არ ყოფნით 440 ათასი ბინა. ზრდის ახლანდელი ტემპის მიხედვით ეს პრობლემა შეიძლება მხოლოდ 220 წლის შემდეგ გადაიჭრას, განაცხადა ბერძენ არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ არქიტექტორთა მესამე ყრილობაზე, რომელიც ნავპლიონში მიმდინარეობს, იუწყება გაზეთი „კატიმერინი“.

□ **გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ჰანს ბენგინმა ბერლინში საზეიმოდ გადასცა ჰაინრიხ ჰაინეს 1963 წლის პრემია ახალგაზრდა გერმანელ პოეტს ჰაინც კალაუსა და ფრანგ მწერალსა და პუბლიცისტს ვლადიმერ პოზნერს.

□ **კოლუმბიის** ნაპირებთან ქარიშხლის დროს დაიღუპა სამი სავაჭრო გემი — პანამის — „ალექსანდერი“, კოლუმბიის „პირინე“ და ამერიკის „გოლფშიპერი“. არის მსხვერპლი.

ეიწყისძრა ჯაკარტაში

16 დეკემბერს ღილით ჯაკარტაში ძლიერი მიწისძვრა ბიძგები იგრძნობოდა. ეს იყო ყველაზე ძლიერი მიწისძვრა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. იგი 10 წამს გრძელდებოდა. დაიმსხვრა მინები მრავალსართულიან სახლებში. მსხვერპლი არ არის. (საკდესი).

საით მიდის ამერიკის დახმარება?

ვაშინგტონი, 17 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა გუშინ ხელი მოაწერა „უცხოეთისათვის დახმარების 1963 წლის კანონს“.

„ეკონომიური და სამხედრო დახმარების პროგრამა, რომელსაც ეს კანონი ითვალისწინებს, — განაცხადა მისი ხელმოწერისას პრეზიდენტმა ჯონსონმა, — საჭიროა შეერთებული შტატებისა და თავისუფალი სამყაროს უშიშროებისათვის“.

ამავე დროს პრეზიდენტმა ჯონსონმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კონგრესმა მნიშვნელოვნად შეკეცა უცხოეთისათვის დახმარების ასიგნება, რომელსაც მთავრობა ითვალისწინებდა.

რკინის ფარდის იქით მილიონერები

ნიუ-იორკი, (ტელ. საკ. კორ.). შეერთებულ შტატებს მოედო ახალი სენსაცია — „საუკუნის მოტაცება“. აქ დიდი მოთქმა-მოთქმა და ხმაური ჯაზის მომღერალ, კონმასხიობ და მულტიმილიონერ ფრენკ სინატრას ვაჟის — უმცროსი სინატრას მოტაცებაზე.

19 წლის უმცროსმა სინატრამ, რომელსაც ძალიან უყვარს მამა, გადწყვიტა გიმეორებინა მისი კარიერი და ამას წინათ დაიწყო გამოსვლა როგორც ჯაზის მომღერალმა ლას-ვეგასში — ამერიკის აზარტის დედაქალაქში. გასულ კვირას კი, საღამოს, სანამ მისი გამოსვლის დრო მოვიდოდა, ტახოს ტბასთან მდებარე კაზინო „პარაზში“ შევიდა ვიღაც კაცი, რომელსაც ხელში რევოლვერი ეჭირა. უცნობმა უმცროს სინატრას წაიყვანა ფულარები, რაც მას ჯიბეზე ჰქონდა, უბიძგა კარს გარეთ და ვიღაცას გასძახა კორიდორში, ეს არისო.

მალე ვიღაცამ ტელეფონით დაურეკა უფროს სინატრას და უთხრა, შვილი შეგიძლიან დაიბრუნოთ სათანადო გამოსასყიდლის გადახდითო. მამა რვაჯერ ელაპარაკა მომტაცებლებს ტელეფონით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩემოდანში ჩადებული 240 ათასი დოლარი დატოვებულ იქნა სათანადო ადგილზე, უმცროსი სინატრა გაათავისუფლეს. დილაადრიან პატრულის პოლიციელმა იპოვნა ბალლი და მშიერი ახალგაზრდა ლოს-ანეელესის ერთ-ერთ ქუჩაზე, იმ რაიონში,სადაც ჰოლივუდის კინოვარსკვლავები ცხოვრობენ. უმცროსმა სინატრამ თქვა, რომ მომტაცებლებს იგი დაჰყავდათ ავტომობილების საბარგულებში ჩასმული და დროდადრო საძინებელ ბებს აყლაპებდნენ.

...ბედის ირონიაა: ფრენკ სინატრა ამჟამად ახალ ფილმში ასრულებს ჩიკაგოელი სისხლის სამართლის დამნაშავის როლს, რომელიც უარს ამბობს გაიტაცოს მდიდარი ბანკირი და გადაახდევინოს მას გამოსასყიდელი.

ს. კონდრაშოვი.

„იზვესტია“.

„ბოლშევიკის“ ბანერი

ბერლინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ბერლინის ტელევიზიის ეკრანებზე ბერლინელებმა ბოლოს ნახეს ბანერი, „ბოლშევიკ“ — ასეთ ბანერს ატარებენ ბერლინელ ბოქსიორები, ბერლინელ ბოქსიორთა ჯგუფი ამ ბანერის ქვეშ ეჯიბრებოდა ინგლისელ ბოქსიორთა ჯგუფს. ბერლინელ ბოქსიორთა ჯგუფმა ინგლისელ ბოქსიორთა ჯგუფი ერთ ქულით დაამარცხა.

ბოტვინიკის გამარჯვება

ამსტერდამში დამთავრდა საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირი, რომელშიც ჰოლანდიელ მოჭადრაკეებთან ერთად გამოიცდნენ საბჭოთა გრანმასტერები მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი.

წარმატებით ჩაატარა შეჯიბრება მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა, რომელმაც სამი პარტია მოიგო, ორი ყაიმით დაამთავრა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ს. ფლორი.

მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი ჰოლანდიაში გამართავენ ერთდროული თამაშის სეანსებს, წაიკითხავენ ლექციებს ჭადრაკზე.

ტეინი — ერთპიროვნული ლიდერი

მძაფრი ბრძოლით გამოირჩეოდა მეოთხმეტე ტური, რომელიც 16 დეკემბერს შედგა. განსაკუთრებით შეუპოვარი აღმოჩნდა სსრ კავშირის ჩემპიონის კორჩნოისა და პოლუგაევსკის პარტია. უყველაფერი გადწყვიტა ცაიტნოტმა, სადაც კორჩნოი უფრო სრულყოფილად თამაშობდა და გაიმარჯვა.

ხოლმოვ-სპასკის პარტიაში მოწინააღმდეგენი არ ცდილან მდგომარეობის გამწვავებას და 25-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. გიასლისმა მოუგო ზახაროვს, ბრონშტეინმა — ოსნოსს. ბონდარევსკიკლოვანის პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

წარმატებით ჩაატარა ორი გადადებული პარტია გროსმაისტერმა შტეინმა და ორივე მოიგო. მან დაამარცხა ფურმანი და ავერბახი. ამან შტეინს შესაძლებლობა მისცა ერთპიროვნული ლიდერი გამხდარიყო, მას 9,5 ქულა აქვს.

გროსმაისტერმა ხოლმოვმა გელერთან გადადებული პარტია ყაიმით დაამთავრა და ლიდერთა სამეულში ჩადგა. ახლა ხოლმოვსა და სპასკის ცხრა-ცხრა ქულა აქვთ.

ბელგიურთელთა ტურნირი

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში. სსრ კავშირის ნაკრებმა უკანასკნელ მატჩში დაამარცხა რუმინელი ხელბურთელები 17:16 და პირველი ადგილი დაიკავა. აზერბაიჯანელებმა მოუგეს საქართველოს გუნდს 19:18.

ბოტვინიკის ბრძოლა

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. (საკდესი). ბოტვინიკი ბრძოლა ბოლოს ნახეს ბანერი, „ბოლშევიკ“ — ასეთ ბანერს ატარებენ ბერლინელ ბოქსიორები, ბერლინელ ბოქსიორთა ჯგუფი ამ ბანერის ქვეშ ეჯიბრებოდა ინგლისელ ბოქსიორთა ჯგუფს. ბერლინელ ბოქსიორთა ჯგუფმა ინგლისელ ბოქსიორთა ჯგუფი ერთ ქულით დაამარცხა.

ბოტვინიკის ბრძოლა

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. (საკდესი). ბოტვინიკი ბრძოლა ბოლოს ნახეს ბანერი, „ბოლშევიკ“ — ასეთ ბანერს ატარებენ ბერლინელ ბოქსიორები, ბერლინელ ბოქსიორთა ჯგუფი ამ ბანერის ქვეშ ეჯიბრებოდა ინგლისელ ბოქსიორთა ჯგუფს. ბერლინელ ბოქსიორთა ჯგუფმა ინგლისელ ბოქსიორთა ჯგუფი ერთ ქულით დაამარცხა.

ლ. იაშინი კვლავ პირველი

საფრანგეთის ყოველკვირეულ „ფრანს ფუტბოლმა“ მოაწყო სპეციალისტებისა და ჟურნალისტების გამოკითხვა — ვინ არის ევროპაში უძლიერესი ფეხბურთელი 1963 წლის სეზონის მიხედვით?

ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა (73) მიიღო სსრ კავშირის ნაკრების მეკარემ ლ. იაშინმა. რივერამ მიიღო 56 ხმა, გრივსმა — 51. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ლოუმ და ეუსებიომ.

ბ. ფ. ნადარეიშვილი

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ახალგაზრდა, ენერგიული, უნარიანი, მზრდელი პარტიული მუშაკი **ზურაბ ფილიმონის-ძე ნადარეიშვილი.**

ამხ. ზ. ფ. ნადარეიშვილი დაიბადა 1931 წ. 14 იანვარს ქ. ფოთში. 1950 წელს დაამთავრა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ქ. ფოთის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში მასწავლებლად.

1953 წლიდან ამხ. ზ. ფ. ნადარეიშვილი კომკავშირულ სამუშაოზეა. 1954 წლიდან 1959 წლამდე იყო საქართველოს ალკკ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

1959 წლიდან 1963 წლამდე ამხ. ზ. ფ. ნადარეიშვილი იმყოფებოდა სამეურნეო, ხოლო მიმდინარე წლიდან — პარტიულ სამუშაოზე.

ამხ. ზ. ფ. ნადარეიშვილი იყო ქ. ფოთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი. დაჯილდოებული იყო მედლით „1958 წელს ყაბარდო და ნასეული მიწების თვისებისათვის“ და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ამხ. ზ. ფ. ნადარეიშვილმა მისაბაძი, სანმეშო შრომით და ადამიანებისადმი კეთილი, მეგობრული დამოკიდებულებით საყოველთაო სიყვარული, პატივისცემა და ავტორიტეტი დაიმსახურა.

ამხ. ზ. ფ. ნადარეიშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი. გ. ქუთათელაძის დამკრძალავი კომისიისაგან

შეძმნილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პროფესორი ი. გ. ქუთათელაძის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ლ. საყვარელიძე (თავმჯდომარე), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი გ. ციციშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი პ. გელბახიანი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. გრიგალაშვილი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი ვ. ასათიანი.

ი. გ. ქუთათელაძის სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 18 დეკემბერს 7 საათსა და 30 წუთზე განსვენებულის ბინაზე — პეტრიაშვილის ქუჩა № 20; 19 დეკემბერს — 2 საათსა და 30 წუთზე — საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ნ. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლში, რუსთაველის პრ. № 2.

გამოსვენება 19 დეკემბერს 3 საათსა და 30 წუთზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ფ. ნადარეიშვილი

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ახალგაზრდა, ენერგიული, უნარიანი, მზრდელი პ